0222 ისტორია და არქეოლოგია HISTORY AND ARCHAEOLOGY

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ეროვნული მოძრაობისა და რელიგიური შემწყნარებლობის პროცესებში (1988-1992 წწ)

ანა ეცადაშვილი
წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი
E-mail: anietsadashvili@gmail.com

რეფერატი

საქართველო კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი მრავალფეროვანი რეგიონია მსოფლიოს ქვეყნებს შორის ეთნიკური, ლინგვისტური თუ რელიგიურ შემადგენლობით. ათასწლეულების მანძილზე ამ პატარა ქვეყნის ტერიტორიაზე სხვადასხვა ეთნო-კულტურული ჯგუფების წარმომადგენლების თანაცხოვრებამ განაპირობა მშვიდობიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება. ასეთი სისტემების არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო განსხვავებული კონფესიების და მათი ღირებულებების, ინტერესებისა და მოთხოვნილებების შეჯერებისათვის და კონფლიქტების საფრთხის შემცირებისათვის. საქართველოში საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა სარწმუნოების თანაარსებობა ქვეყნის კულტურული ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ თბილისში ერთმანეთის სიახლოვეს საუკუნეების განმავლობაში მოქმედებდა მართლმადიდებლური ეკლესია, სომხური ტაძარი, სინაგოგა და მეჩეთი, რაც რელიგიური მრავალფეროვნების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. საბჭოთა პერიოდში საქართველო, კავშირის სხვა რესპუბლიკებს შორის, მრავალეროვნულობით გამოირჩეოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სერიოზული ცვლილებები მოხდა ქვეყნის ეთნოსტრუქტურაში, მაგრამ დღესაც, საქართველოში 120-ზე მეტი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ცხოვრობს. საბჭოთა კავშირში მოსახლეობის კონფესიური შემადგენლობა არ აღერიცხებოდა. მებრძოლი ათეიზმის ქვეყანაში ყველა რელიგია „კანონგარეშე“, საზოგადოებრივი გაკიცხვისა და ისტორიული გადმონაშთის რანგში განიხილებოდა, რის გამოც ოფიციალური სტატისტიკა აღმსარებლობის შესახებ არ არსებობდა. საქართველოში პირველად 2002 წელს დადგინდა მოსახლეობის კონფესიური სტრუქტურა. აღწერით მთლიანი მოსახლეობის 88,6% ქრისტიანული აღმსარებლობისაა, მაჰმადიანური მოსახლების რიცხვი - 9,9% შეადგენს, იუდეველებისა - 0,1%-ს, სხვების - 0,8%-ს და 0,6% არცერთს არ მიაკუთვნებს თავს. ამრიგად, საქართველო მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქვეყანაა, სადაც სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის წარმომადგენელთა თანაცხოვრებამ შექმნა შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის მნიშვნელოვანი ისტორიული ტრადიცია. ეს მრავალფეროვნება დღესაც წარმოადგენს საქართველოს კულტურული იდენტობის, საზოგადოებრივი სტაბილურობისა და სამოქალაქო თანაცხოვრების არსებით საფუძველს.

საკვანძო სიტყვები: „კავკასია“, „საქართველო“, „ეკლესია“, „რელიგია“, “ქრისტიანობა“, “ეროვნული მოძრაობა“.

შესავალი

საუკუნეების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ხალხების ხასიათში ჩამოყალიბებული სოციო-კულტურული რეგულაციის სისტემები შეჯიბრისა და თანამშრომლობის გარემოს უზრუნველყოფას ემსახურებოდა. მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფაზე იყო ორიენტირებული მთელი რიგი ყოფითი რეალიები, მმართველობის, სოციალური ორგანიზაციის, სოციალურ-ეკონომიკურ და რელიგიურ ურთიერთობათა სფეროებში. რიგ შემთხვევაში კონფლიქტის გამომწვევი სტრუქტურული ფაქტორები, როგორიცაა: სპეციალიზაცია, ერთმანეთზე დამოკიდებულება, საერთო რესურსები, ავტორიტეტთა ურთიერთობა, სტატუსებრივი კავშირები, მშვიდობიანი დარეგულირების ფაქტორებად გვევლინებოდა. ამას ხელს უწყობდა კავკასიელთა შორის არსებული საკომუნიკაციო არხები და ის მსგავსი კულტურული მახასიათებლები, რომლებიც იდენტურ თუ არა ერთმანეთთან ახლოს მდგომი ეთიკური ნორმების არსებობას განაპირობებდნენ, რაც თავის მხრივ ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და პოლიტიკურ-კულტურული გაცვლისა და გავლენების, გეოგრაფიული, ისტორიულ-კულტურული და რიგ შემთხვევებში პოლიტიკური კავშირების შედეგი გახლდათ. ეთნოგრაფიული და ისტორიული მონაცემები ადასტურებს, რომ კავკასიაში გარკვეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური დაძაბულობა ან კონფლიქტი (ლატენტური თუ ღია) არ გადაზრდილა რელიგიურ დაპირისპირებასა და შუღლში.

ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო ისტორიულად წარმოადგენდა რეგიონის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს, რამაც განაპირობა სხვადასხვა ეთნიკური და კონფესიური ჯგუფების წარმომადგენლების ცხოვრება, ისტორიული გამოცდილების შედეგად, ჩამოყალიბდა ისტორიული შემწყნარებლური დამოკიდებულება „უცხოთა“ მიმართ. სხვადასხვა რელიგიურ თემებს აქ ყოველთვის ჰქონდათ არსებობისთვის მისაღები გარემო.

ძირითადი ნაწილი

საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა IV საუკუნიდან. ქართველთა უმრავლესობა ისტორიულად მართლმადიდიებელი ქრისტიანია, არიან აგრეთვე კათოლიკეები, მუსლიმები და სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლები. ქართველების გარდა, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენლების ტრადიციული რელიგიური შემადგენლობა ასეთია: აზერბაიჯანელები - მუსლიმი იმამიტი შიიტები და სუნიტები, სომხები - სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლი, კათოლიკეები და სხვა. ებრაელები - იუდეველები, ქურთი - იეზიდები, ასირიელები - ნესტორიანელი მონოფიზიტები, ქისტები - სუფიური ისლამის მიმდევრები და სალაფიტები, აფხაზები - სუნიტები მუსლიმები, მართლმადიდებელი ქრისტიანები, ოსები - მართლმადიდებელი ქრისტიანები, რუსები - მართლმადიდებელი ქრისტიანები, დუხობორები, მოლოკნები, სტაროვერები, გერმანელები - ლუთერანები და სხვ. ურთიერთობები ტრადიციული რელიგიური აღმსარებლობის თემებს შორის საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. არსებული პოზიტიური თუ ნეგატიური სტერეოტიპების პირობებში, ურთიერთადაპტაცია ძირითადად მშვიდობიან ჩარჩოებში ვითარდებოდა, რის გამოც საქართველო, მიუხედავად მის გარშემო საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე რელიგიური ხასიათის ომებისა, განსხვავებული კონფესიური ჯგუფების თანაცხოვრების მაგალითად იქცა.

საქართველოს ისტორიაში ტოლერანტობის დონე ყოველთვის მაღალი იყო, რაც სახელმწიფო პოლიტიკაში განსაკუთრებით მკვეთრად დავით აღმაშენებლის დროიდან ფიქსირდება. ასევე აღსანიშნავია, რომ ქართველი მეფეები კარგად ერკვეოდნენ ისლამში და თავიანთ პატივისცემას გამოხატავდნენ ამ აღმსარებლობის მიმართ. მეფე დავით აღმაშენებელი პოლემიკას მართავდა ისლამის საკითხებზე მუსლიმან ღვთისმეტყველებთან, იგი ესწრებოდა მეჩეთში ლოცვებს ამ აღმსარებლობისადმი პატივისცემის ნიშნად, მფარველობდა მუსლიმ ვაჭარ-ხელოსნებს. დავითის სახელმწიფო პოლიტიკა, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, თანასწორობის იდეაზე იყო აგებული.

XII საუკუნის არაბი ისტორიკოსი ალ-ფაკირი აღნიშნავდა, რომ მან ნახა აქ (საქართველოში) ისეთი პატივისცემა მუსლიმებისა, რაც მათ ბაღდადშიც კი არ ქონიათ. შარვანელი პოეტი ხაკანი, ასევე, აღფრთოვანებული წერს დემეტრეზე, „შენ ხარ ვენახი“-ს დამწერზე: როდესაც დემეტრე გარდაიცვალა, იგი ქრისტიანმა და მუსლიმანმა ქვეშევრდომებმა თანაბრად გამოიგლოვეს.

1440-იან წლებში ახალციხელმა მუსლიმებმა აცნობეს ეგვიპტის სულთან ჯაკმაკს, რომ ისინი ქალაქ ახალციხეში დიდებით და პატივით ცხოვრობდნენ, მათი გამგებელი ივანე ათაბაგი, დიდი პატივისცემით ეპყრობა მათ, ამავე წერილში ახალციხელმა მუსლიმებმა სთხოვეს სულთანს, მისი მზრუნველობა იერუსალიმში მცხოვრები ქართველი ბერებისადმი, რათა მათ არ შექმნოდათ სიძნელეები ამის სანაცვლოდ, მუსლიმები კი იქნებოდნენ პატივგებული ქართველთა მხრიდან. ამ წერილიდან ეგვიპტისა და ქართველ ხელისუფალთა ურთიერთობაში კარგად გამოკვეთილი საერთო ინტერესი იკვეთება. ნაცვალგების პრინციპი უბიძგებდა ეგვიპტის სულთანს ეზრუნა მუსლიმთა კეთილდღეობაზე საქართველოში და შესაბამისად ქართველ ქრისტიანებზე სასულთნოში. ქართველი მმართველები თავიანთ სამფლობელოში ახორციელებდნენ მუსლიმთა მიმართ რჯულშემწყნარებლურ პოლიტიკას, ამით წარმატებით იცავდნენ ქართული ქრისტიანული თემის ინტერესებს წმინდა მიწაზე და აფართოებდნენ მათ იმუნიტეტს.

დავითიდან მოყოლებული, ქართველი მეფეები თანაბრად შემწყნარებელნი იყვნენ ქრისტიანი თუ მუსლიმანი ქვეშევრდომების მიმართ.

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულმა არჩევნებმა, ფაქტობრივად, დაასრულა საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა კონსტიტუციების ეპოქა. ცხადია, სხვა უპირველეს საკითხებთან ერთად, უნდა გადაწყვეტილიყო ძირითადი კანონის - ახალი, არასაბჭოური, კონსტიტუციის მიღების საკითხი,

მაგრამ ჯერ კიდევ არსებობდა სსრ კავშირი, საქართველო საბჭოთა სამართლებრივ სივრცეში იმყოფებოდა, რის გამოც ახალი კონსტიტუციის მიღება შეუძლებელი იყო. ამიტომ ახალი რეალობის საკანონმდებლო განმტკიცება ხელისუფლებამ გადაწყვიტა ისევ 1978 წლის კონსტიტუციის გადასინჯვის საფუძველზე.

1990 წლის 14 ნოემბერს, არჩევიდან სულ რაღაც 16 დღის შემდეგ, საქართველოს უზენაესმა საბჭომ პირველსავე სესიაზე მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ, რომელსაც უნდა ემოქმედა ახალი კონსტიტუციის მიღებამდე. სესიამ უამრავი ცვლილება შეიტანა იმ დროს ჯერ კიდევ მოქმედ 1978 წლის საბჭოურ კონსტიტუციაში. დროებით ძალაში დარჩა 1978 წლის კონსტიტუციის ყველა ის თავი, რომლებიც ეხებოდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას. ასე რომ, ეს კონსტიტუცია, უფრო სწორად, მისი შესწორებულ-გადასინჯული ვერსია იყო გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგის გათვალისწინებით 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომაზე საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი. ეროვნულ უმცირესობის საკითხთან დაკავშირებით ამ აქტში ხაზგასმული იყო საერთაშორისო სამართლის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, საერთაშორისო პაქტებისა და კონვენციების, ასევე გაერთიანებული ერების წესდების შესაბამისად ყველა ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

1991 წლის ბოლოს არაკონსტიტუციური გზით მოხდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა. შეიქმნა სამხედრო საბჭო, დროებითი მთავრობა. ძალადაკარგულად გამოცხადა 1978 წლის კონსტიტუცია და კანონმდებლობა. ამრიგად, 1918 წლიდან 1991 წლამდე მიღებულ კონსტიტუციაში შესატყვისად აისახა სახელმწიფო მიდგომა ეროვნულ უმცირესობათა საკითხისადმიც. ეს კი, სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა სეგმენტებთან ერთად, ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი გახლდათ დემოკრატიული თუ საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური მრწამსის, ჰუმანური ნებისა და ტოლერანტიზმის ხარისხის შესაცნობად.

როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა: „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა“ (ი. ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი VIII, 1957:311). ამ მხრივ მრავლისმთქმელია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ 1977 წლის 25 დეკემბერს, აღსაყდრების დღეს, სვეტიცხოველში წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც ხაზგასმულია: „ქართველი ერი და ქართული ეკლესია მუდამ ერთად იყვნენ ჩვენი სამშობლოს ყველა ძნელ-ბედობის ჟამს“.

საბჭოური რეჟიმის მიერ უფლებაშეზღუდული ეკლესია ამ დროს ჯერ კიდევ დახშულ სივრცეში იყო მოქცეული, მაგრამ როდესაც საქართველომ „ღვთის მთავარი საჩუქრის“ - თავისუფლებისათვის ბრძოლა წამოიწყო, ეკლესია ვერ დარჩებოდა და არც დარჩენილა ამ დიდი მოძრაობის გულგრილ მაყურებლად.

ტოტალიტარულ, ათეისტურ სახელმწიფოში კანონგარეშედ გამოცხადებული საქართველოს ეკლესია საზოგადოებაში თავისი კუთვნილი ადგილის დამკვიდრებას ესწრაფვოდა და იმავდროულად მრევლის სულიერი და მორალურ-ზნეობრივი გაჯანსაღებისათვისაც იღწვოდა. სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ 1977 წელს, ერის სულიერ წინამძღოლად არჩეულ იქნა უწმიდესი და უნეტარესი ილია II. ახალი კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებით საქართველოს ეკლესიაში აღორძინების ხანა დაიწყო, რაც გარკვეულწილად საზოგადოებაზეც აისახა. მოსახლეობაში სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა ეკლესიისა და მისი მეთაურის ავტორიტეტის ზრდა. ნიშანდობლივი იყო, რომ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკლესიას მიენდო. მრავალი მოსწავლე და სტუდენტი სტიქაროსანი გახდა, ამა თუ იმ ტაძარში მრევლი გაერთიანდა და სხვა. როგორც სახალხო პარტიის თავმჯდომარე, მამუკა გიორგაძე გადმოგვცემს: „ჩვენ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, როცა საქართველოს პატრიარქის ილია II-ის გაცნობის პატივი გვერგო წილად. მან ჩვენზე დიდი გავლენა მოახდინა. მასში აღმოვაჩინეთ ქართული იდეის და საქმის გამომხატველი, ჩვენი სულიერი წინამძღოლი და მფარველი. მან გვაპოვნინა საკუთარი თავი, პიროვნული

თავისუფლების მიღწევისა და ცხოვრებაში დამკვიდრების გზა“ (სამეცნიერო ჟურნალი “ლოგოსი” N7, 2013:173).

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო საეკლესიო ქადაგებებს, რომლებიც მრევლს მაღალი ზნეობის, მოყვასისა და სამშობლოს სიყვარულისკენ მოუწოდებდა. კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგებებში, რომელთა მოსასმენად ტაძრებში სულ უფრო მეტი ადამიანი იკრიბებოდა, შერწყმული იყო რელიგიური და ეროვნულ-პატრიოტული იდეები. ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1988 წელს ახალ ქართულ ენაზე სოლიდური ტირაჟით გამოიცა „ბიბლია“, დაიწყო საბჭოურ სინამდვილეში აკრძალული საეკლესიო დღესასწაულების განხლება,ზოგიერთ ძველ ეკლესიაში აღდგა ღვთისმსახურება და სხვა. ეკლეიის წიაღში დაწყებული ეს სისხლსავსე პროცესი საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას დაემთხვა, რომელმაც სოფლად თუ ქალაქად მოსახლეობის თითქმის ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლობა მოიცვა. მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობის აქციებში სასულიერო პირთა ჩართულობა ზომიერი მონაწილეობის ფარგლებს არ გასცილებია, საქართველოს ეკლესია ეროვნული ენერგიის მკვებავ სულიერ წყაროდ, საზოგადოებირივ ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორად და ყოველმხრივ ანგარიშგასაწევ ძალად მოგვევლინა. ობიექტური სინამდვილე ისეთი იყო, რომ, ერთი მხრივ, იმპერიის ძალმომრეობასთან შეურიგებელი ეროვნული მოძრაობა, ხოლო მეორე მხრივ, საკუთარი ღირსებისა და უფლება-კომპეტენციის აღდგენისათვის მებრძოლი საქართველოს ეკლესია ბარიკადის ერთ მხარეს, საბჭოურ ტოტალიტარიზმთან დაპირისპირებულ საერთო ბანაკში უნდა აღმოჩენილიყვნენ.

ეროვნული მოძრაობის წიაღში შექმნილი მძიმე ვითარება საფრთხეს უქმნიდა საქართველოს მომავალს. გათიშულობა და დაპირისპირება სწორედ იმ უმთავრესს ქართული იდეას ვნებდა, რისთვისაც მოწოდებული იყო ეროვნული მოძრაობა. ცხადია, ყოველივე ეს აღელვებდა ეკლესიას და მის საჭეთმპყრობელს, რომელთაც გახლეჩილი ეროვნული მოძრაობის ორივე ფრთა თავისკენ ექაჩებოდა. ეკლესია როგორც სულიერი ძალა, პოლიტიკური პრაგმატიზმის დონეზე ვერ დაეშვებოდა. თავისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, მას ოდენ მიუკერძოებელი მედიატორის, შემრიგებლის, გამაერთიანებლის როლი უნდა ეკისრა.

ამრიგად, 1988-1992 წლების მოვლენები საქართველოს უახლეს ისტორიაში უმნიშვნელოვანეს პერიოდს წარმოადგენს. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, საბჭოთა სისტემის დაშლა, დამოუკიდებლობის აღდგენა და პოლიტიკური კრიზისი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესები იყო.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ არა მხოლოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობის საკითხი დააყენა, არამედ ეროვნული, სულიერი და კულტურული იდენტობის აღდგენის პროცესიც წამოიწყო. აღნიშნულ მოვლენებში საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ არაერთხელ სცადეს დაპირისპირებული ქართული ძალების შერიგება,მათ შორის თანხმობისა და ერთიანობის აღდგენა, მაგრამ უშედეგოდ. უსამართლობა იქნება, კაცმა ეჭვი შეიტანოს საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიზანდასახულობაში, მის ლიდერთა პატრიოტიზმში, გულწრფელობასა და უანგარობაში, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია აღინიშნოს ის მძიმე რეალობა, რომელშიც საქართველო გასული საუკუნის 90-იან წლებში აღმოჩნდა და რომლის შედგები დღემდე დაუძლეველია. საქართველოს ეკლესიის პოზიცია იყო სწორი და სამართლიანი, რაც არა მარტო დრომ დაადასტურა, არამედ შემდგომ პერიოდში ეკლესიისადმი საზოგადოების გაზრდილმა ნდობამაც მკაფიოდ და ნათლად წარმოაჩინა.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) 2012 წლის ნოემბრის კვლევის თანახმად, საქართველოს ინსტიტუციებს შორის ნდობის ყველაზე მაღალი ხარისხით ეკლესია გამოირჩევა, მას ნდობას გამოკითხულთა 94% უცხადებს.

დღეს საქართველო მრავალფეროვანი კულტურული სივრცეა, სადაც სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფის თანაარსებობა ქვეყნის ისტორიული მემკვიდრეობისა და დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვან საფუძვლად რჩება.

დასკვნა

საქართველოში 1988-1992 წლები წარმოადგენს გარდამტეხ პერიოდს, როდესაც ეროვნული მოძრაობა, საბჭოთა სისტემის დაშლა და დამოუკიდებლობის აღდგენა ერთიან ისტორიულ პროცესად ჩამოყალიბდა. ამ პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც სულიერმა და მორალურმა ინსტიტუტმა, რომელმაც ხელი შეუწყო საზოგადოების კონსოლიდაციას და ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას.

უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ხელმძღვანელობით, ეკლესია იქცა იმ სივრცედ, სადაც ეროვნული და რელიგიური იდენტობა ერთმანეთს ერწყმოდა. მიუხედავად პოლიტიკური დაპირისპირებებისა და ეროვნული მოძრაობის შიდა გახლეჩისა, ეკლესია ცდილობდა შუამავლისა და გამაერთიანებლის ფუნქციის შესრულებას.

ამრიგად, აღნიშნული პერიოდი ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკლესია არა მხოლოდ რელიგიური ინსტიტუტი, არამედ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ფაქტორი იყო, რომელმაც გავლენა მოახდინა ქვეყნის დამოუკიდებლობის პროცესსა და შემდგომი სახელმწიფოებრივი განვითარების საფუძვლებზე.

ლიტერატურა

1. ჯაფარიძე გ. 2016: საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, თბილისი 2016.
2. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგნეტო 2017: ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის II კონფერენცია - „რელიგიური ტოლერანტობა საქართველოში“, თბილისი 2017.
3. ი. ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი VIII, თბილისი, 1957.
4. ირინე საგანელიძე 2022: ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდაჭერა და სახელმწიფო მიდგომები საქართველოში (2009-2019წლები), თბილისი 2022.
5. ავთანდილ სონღულაშვილი 2005: „ეროვნული უმცირესობანი და კონფუსიები საქართველოში“, თბილისი 2005.
6. სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“ N7 2013, თბილისი 2013.
7. სალომე დუნდუა, ზვიად აბაშიძე 2009: „ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში“, თბილისი 2009.

„The Role of the Georgian Orthodox Church in the Processes of the National Movement and Religious Tolerance (1988-1992)"

Ana Etsadashvili

Abstract

Georgia is one of the most diverse regions in the Caucasus in terms of ethnic, linguistic, and religious composition. For centuries, the coexistence of various ethno-cultural groups within the territory of this small country contributed to the establishment of peaceful relations. The existence of such systems was particularly important for reconciling the values, interests, and needs of different religious denominations and for reducing the risk of conflict. For many centuries, the coexistence of different religions in Georgia has been an important part of the country's cultural history. Particularly noteworthy is the fact that, in Tbilisi, an Orthodox church, an Armenian church, a synagogue, and a mosque functioned in close proximity to one another for centuries, becoming a symbol of religious diversity. During the Soviet period, Georgia stood out among the republics of the Soviet Union for its multinational character. After gaining independence, significant changes occurred in the country's ethno-demographic structure; however, representatives of more than 120 ethnic groups still live in Georgia today. In the Soviet Union, the confessional composition of the population was not officially recorded. In a country governed by militant atheism, all religions were considered "outside the law," subject to public condemnation, and treated as remnants of the past. As a result, no official statistics regarding religious affiliation existed. The confessional structure of Georgia's population was first officially identified in 2002. According to the census, 88.6% of the total population identified as Christian, 9.9% as Muslim, 0.1% as Jewish, 0.8% as belonging to other religions, while 0.6% did not identify with any religion. Thus, Georgia is a multiethnic and multiconfessional country, where the coexistence of representatives of different religions and cultures has created an important historical tradition of tolerance and mutual respect. This diversity still constitutes an essential foundation of Georgia's cultural identity, social stability, and civic coexistence today.

Keywords: "Caucasus", "Georgia", "Church", "Religion", "Christianity", "National Movement".